

ოქმი # 2

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2021 წლის 16 ივნისის სხდომისა

(სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, zoom-ის გამოყენებით)

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), გ. ბერიკელაშვილი, თ. ბუჩუკური, რ. დუდუჩავა, მ. ელიაშვილი, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, ი. კილურაძე, ვ. კოკილაშვილი, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 15 წევრი).

დღის წესრიგი:

1. მათემატიკური ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისთვის საკონკურსო კომისიის შექმნა.

მ ო ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2021 წლის 7 ივნისს გამოცხადდა კონკურსი თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში მათემატიკური ფიზიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის (1 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად (თსუ რექტორის 2021 წლის 4 ივნისის # 76/01-01 ბრძანება). ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თსუ რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია.

მ ო ს მ ი ნ ე ს : სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თ. ქადეიშვილის გამოსვლა, რომელმაც ზემოთ აღნიშნული კომისიის წევრობის კანდიდატებად დაასახელა: როლანდ დუდუჩავა, თენგიზ ბუჩუკური, ოთარ ჯოხაძე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

1) წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **როლანდ დუდუჩავა** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

2. **თენგიზ ბუჩუკური** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

3. **ოთარ ჯოხაძე** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დიფერენციალური განტოლებების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციაა ზემოთ აღნიშნული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იყოს რ. დუდუჩავა, თავმჯდომარის მოადგილე - ო. ჯოხაძე, ხოლო კომისიის მდივანი - თ. ბუჩუკური.

საბჭოს თავმჯდომარე

თ. ქადეიშვილი

სწავლული

ო. ჯოხაძე

